# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქცას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ალის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩ. ეულბერივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



სამზრუნველომ, ქ. ტფილისში მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს წმ. მოციქულთა სწორის ნინოს ტაძრის ალსაშენებლად დაარსებულმა, თავის კრების დროს, რომელიც ამ წლის 29 მარტს მოხდა, თავმჯდომარეობით გენერალ-ლეიტენანტის გრაფ ივანე დიმიტრის ძის ტატიშჩევისა, დაადგინა: რადგან სრულიად გაივსო საფლავებით ის ნაწილი კუკიის სასაფლაოსი, სადაც წინად იმარხებოდნენ მიცვალებულნი სათანადო ყურის უგდებლადა და უგეგმოდ, ასე რომ ამ ჟამად იმ ადგილას არა თუ ვერ ძალ-უძს გავლა საეკკლესიო პროცესსიას მიცვალებულითურთ, არამედ მარტო კაცსაც ძლივს შეუძლიან საფლავის ყორეებისა გამო გავლა, ამიტომ მოისპოს მიცვალებულთა დასაფლავება ხსენებულს ადგილას სასაფლაოისა და გამოეცხადოთ იმათ, ვისაც ადგილი აქვთ შემოზღუდული ამ ალაგას, რომ, თუ სურთ მიცვალებულების დასაფლავება იმ თავითვე დაჭერილსა და შემოღობილს ადგილებში, ამის ნება-რთვის მისაღებად უთუოდ საჭიროა, როგორც უკვე გამოცხადებული ჰქონდა სამზრუნველოს ადგილობრივს გაზეთებში, დროითვე წარუდგინონ სასაფლაოს ეკკლესიის მღვდელს მამა ი. ბერიძეს ცნობანი იმის შესახებ, რომ შემოზღუდული ადგილები იმათ ეკუთვნით. (3—2)

გამგე კომიტეტი **„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1882 წლის 14 მაისს, 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველია შემდეგი საგნები: ა) წლიური ანგარიში 1891 წლის პირველ აპრილიდგან 1892 წლის პირველ აპრილამდე; ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ $18^{92}/_{93}$ წლისა; გ) სახლის შეძენა საზოგადოებისათვის. (3—2)

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და ხსენებულის ბანკის მსესხებელთა კრებას, რომელიც ამ 1892 წლის 12 მაისს არის დანიშნული, განსახილველად წარედგინება, გარდა უკვე გამოცხადებულის საგნებისა, კიდევ შემდეგი მოხსენებანიც:

ა) იმის შესახებ, რომ ბანკს ნება მიეცეს ხოლმე დიდ-ვადიანი სესხი გასცეს ქალაქებს, ერობათ, საზოგადოებათ და საზოგადო დაწესებულებათ უძრავ ქონების დაუგირავებლად;

ბ) იმის შესახებ, რომ აჩქარდეს იმ ვალის გარდახდა, რომელიც ბანკის ქარვასლაზეა,

და გ) შეცვლილ და შევსებულ იქმნას ბანკის წესდების მე-89 პარაგრაფი.. (3—3)

გამოვიდა ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში:

**ქთქბქგნი**

**ბექა და ალბუღა**

და

**მათი სამართალი,**

ნ. ურბნელისა.

ფასი ათი შაური (50 კაპ.) (6—3)

**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

**„ახალი ანბანი“**

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან“, წერა-კითხვა. . . 10 კ.
2) „ბან“, წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . , . . . 10 კ.
3) „გან“, პატარ-პატარა ამბები. . . . . . . . . 10 კ.
4) „დონ“, პატარ-პატარა ამბებივე. . . . . . . . . 10 კ.
5) „ენ“, გასართობი. . . . . 10 კ.


## ახალი ამბავი

*** 2 მაისს მიდის ტფილისიდგან ტფილისის ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილების სესია ზაქათალასა, სიღნაღსა და თელავში. სესია ზაქათალაში 4 მაისს დაიწყებს გარჩევას და 18 საქმე აქვს გასარჩევი, სიღნაღში სესია 7-დგან 18 მაისამდე დარჩება და 112 საქმეს გაარჩევს, ხოლო თელავში-კი 21-დგან 30 მაისამდე დარჩება და 83 საქმეს გაარჩევს, ასე რომ სასამართლოს სესია თიბათვის პირველს რიცხვებში უკანვე დაბრუნდება.

*** სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, იბეჭდება ქართულად მოკლე დარიგებანი ბამბის მოყვანისა აღმოსავლეთს კავკასიაში და ვაზის წამლობის შესახებ. ეს დარიგებანი უსასყიდლოდ დაურიგდებათ მსურველებს აგრონომის ტარატინოვისა და საფილოქსერო დასის ექსპერტების მიერ.

*** როგორც მოგეხსენებათ, ტფილისში საშინელს მდგომარეობაშია ქუჩები, ოღრო-ჩოღრო, ოკრო-ბოკრო და სხ. შარშან, 1891 წელს, ქუჩების ქვაფენილის დასაგებად საბჭომ გადასდო 32,120 მან., საწრეულოდ-კი ინჟენერი თხოულობს 51,735 მანეთს. ამ ფულიდგან ექვსას თუმნამდე ქვისა და ქვიშის საწყობისათვის უნდა გადაიდოს, დანარჩენით-კი 20,000 ოთხ-კუთხი საჟენი ქუჩები უნდა მოჰფინონ ქვით. წარმოიდგინეთ, რომ ამ 20,000 ოთხ-კუთხ საჟენის მოფენით ქუჩების სიკეთე არაფრით იმატებს, ამდენი უნდა გაკეთდეს მხოლოდ იმისთვის, რომ ქუჩები უფრო უარესს მდგომარეობაში არ ჩავარდეს, ვიდრე ეხლაა. ქუჩების განგარგებ - გაუმჯობესებისათვის - კი ქალაქს ამ ხელად ფული არა აქვს და ამიტომ ხელი ვერ მიუყვია.

*** სამშაბათს, 28 აპრილს, საღამოს ესე 11 საათზედ ტფილისის დასავლეთ მხარეს ცაზედ რაღაცა ცისიერი გამოჩნდა, რომელსაც თანდათან სინათლე ემატებოდა, ასე რომ ბოლოს დროს მთვარეზედ ძლიერ ანათებდა. ცოტა ხანს შემდეგ ცისიერს ერთი ნაჭერი მოსწყდა, რომელიც ძირს დაეშვა და მამა-დავითის მთას მიეფარა. ამ ნაჭერის მოწყვეტის შემდეგ ცისიერს სინათლე მოაკლდა და მკრთალად ანათებდა. ნახევარ წამს შემდეგ კიდევ მეორე ნაჭერი მოსწყდა ცისიერს და ცოტა ხანს შემდეგ მესამეც. ყოველთვის, როცა ეს ნაჭრები სწყდებოდა ცისიერს, სინათლეს ჰკარგავდა და ბოლოს დროს გაჰქრა კიდეც. ეს უცნაური სანახავი 3 წუთსა და 15 წამს გაგრძელდა.

*** ახალგაზდა ქართველს ქალს ო. ბ—ს ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ ხელის მოწერით 16 მანათი შეუკრებია.

*** როგორც შევიტყეთ, 25 ამა აპრილს სურამის სასამართლოს ბოქაული ბ-ნი პანოვი შესდგომია აღმასრულებელ ფურცლის სისრულეში მოყვანას დ. ბორჯომში. აქა სცხოვრობს ქვიშხეთელი აზნაური სიმონ ზაქარიას ძე ყიფიანი. ეს ყიფიანი სხვის სახლში მდგარა და ნებით სახლი არ დაუცლია. როცა ბოქაული შესულა სახლის დასაცლელად, აქ ბარგ-ბარხანაში უპოვნიათ ყალბის ფულის მოსაჭრელი მანქანა აბაზიანებისა და კენტ შაურიანების თეთრის ფულის საკეთებლად. ამ დროს იქავე დასწრებია ბორჯომის პოლიციის ბოქაული. პოლიციის მოხელეს მაშინვე ოქმი შეუდგენია და ნაპოვნი მანქანაც დაუბეჭდია. 27 აპრილს დატუსაღებული სვიმონ ზაქარიას ძე ყიფიანი და აგრეთვე მანქანა სურამის გამომძიებელს წარუდგინეს.

*** წერა-კითხვის საზოგადოების სალატარეიოდ კნ. პრასკოვია ალექსანდრეს ასულმა ვიდგენშტეინისამ შემოსწირა ორი ნაკერი ბალიში, ატლასისა, ერთი ჩარჩო, ერთი ოქროს ჩალის კალათა, საფერფლე და ორი ატლასის ყუთი.

*** ქუთაისში ამ ჟამად მოელოდნენ რამდენსამე სწავლულს კაცს, რომლებიც საზღვარ-გარეთიდგან მოდიან ადგილობრივ სამინერალო წყლების დასათვალიერებლად.

*** ყარსი: წრევანდელმა ზამთარმა გადააჭარბა წარსულს წლებს თავის ყინვა-სიცივეებით. აღდგომას აქეთ პატარა მოთბა, გამოიდარა და გაახარა აქაური გლეხობა, რომელთაც შარშანდელს პურს ეხლა დაუწყეს ლეწვა, მაგრამ მალე ისევ ავდრები დაიწყო. ატალახდა აქაურობა ● თან გაონავრდა აქაური მდინარე წყლებიც. უამინდობამა და წყალ-დიდობამ ცოტა ზარალი არ მისცა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებთ. ჩვენი ერთად-ერთი სასეირნო ადგილი „Карскій островъ“ სრულიად წალამა, ბევრი წყლის პირზე მცხოვრებელი აბარგა და უშიშარ ადგილს გადაასახლა დროებით წყლის ჩამოვარდნამდე. ყარსის ფოსტის ცხენების პატრონს ექვსი ცხენი დაურჩო „ყარსა-ჩაიმ“ და ყაგიზმანის წყალმა „ბაიამ-სუმ“.

*** ბათუმი: ჩვენ გვწერენ, რომ ბათუმის საპატიმროში შავი სახადი გაჩენილაო და ჯერ-ჯერობით იქიდგან გასაგზავნ პატიმრებს არსად არა ჰგზავნიან.

*** ფოთი: 22 აპრილს ქალაქის საბჭოს დღევანდელს კრებაზედ სხვათა

---

# ფელეტონი

***

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს ნიკო ჯანაშიას)

ვაი რომ ნიჭმა მიმტყუნოს
და დიდმა აღმაფრენამა,
სულის უსაზღვრო კვეთება
ველარ ამოსთქვას ენამა
და ჰკვათა-მყოფი ამაოდ
შემირთოს დროთა დენამა!
მე მთქმელმა ველარა-რა ვსთქვა,
სიტყვა ენაზედ გამიხმეს,
წყარო უკვდავის გრძნობისა
უდრო-უჟამოდ დამიშრეს
და მადლი გულთა პყრობისა
დროს ბუმბულივით გამიყვეს!
სხვის გრძნობა ველარ დავიპყრო,
სხვის გული ველარ ვაძგერო,
ველარც ვის სული ჩავუდგა,
ველარც სამღერი ვამღერო
და ჩანგი სიყვარულისა
ლონე-მიხდილმა ვაჟღერო!
თუ-კი იმდენს ხანს გამყვება,
ამოვსთქვა გულის ნადები;
ვსთქვა, როგორც შემისმენია
ცისა და ქვეყნის ამბები
და ვპოვე დაფარულისა
კაცის სულ-გულის სალები,—
მერე რას დავდევ, რომ მოვკვდე
მე ქვეყნის დაუტირალი,
ჩემს ლექსში მაინც ვიცოცხლებ
იმედით გამომზირალი!

ტ. რაზიკაშვილი

## ჩვენი უთავბოლობა.

ჩვენი ინტელიგენცია

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 89)

დასასრულ ორიოდე სიტყვა ქალებზედაც, რადგანაც ქვეყნის ბედ-უბედობის მიზეზებში იმათაც წილი უძევთ. „მოგვეცით კარგი დედები და ჩვენც კარგი შვილები ალვიზრდებითო“, სთქვა სახელოვანმა რიხტერმა და აკი ჩვენი ანდაზაც ამასვე ამბობს: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო. მაშასადამე, თქმა არ უნდა, რომ ჩვენი უარარაობა ჩვენის დედების ბრალიც არის, მაგრამ ვაი თუ მანდილოსნების უვარგისობის თავდა პირველი მიზეზნი ქუდოსნებივე იყვნენ და „გველმა კბენა არ იცოდა, კაცმა კბენა ასწავლაო“ მართალი იყოს? არა, სწორედ ასე იქნება, თორემ გენიოსთა გენიოსი შექსპირი რად იტყოდა ამას: „დედაკაცი წმინდა სანთელია და მამაკაცი—მარმარილო, რომელიც ყოველთვის თავისებურ ბეჭედს ასვამს დედაკაცის ხასიათს“. გაიძვერობით, მტრობით, თითლიბაზობით, თუ ძალით კაცები არიან თავდაპირველნი მიზეზნი დედაკაცების ნაკლულევანებისა. არა, დედაკაცები უმანკო არსებანი არიან: „ვინ დაჰგმობს წმინდა სანთელს, როდესაც იმას ეშმაკისაგან დასმული დამლა ატყვიაო“. მართლაც-და როგორ დავძრახოთ სამშობლო ქვეყნის ურგები და ქარაფშუტა მანდილოსნები იქ, სადაც ქუდოსნებს იმათი ემანსიპაცია თვალის ეკლად მიაჩნიათ და სულ ამას გაიძახიან: რას გვიბრძანებთ, ვინ ქალები, ვინ საშუალო და უმაღლესი სწავლა-განათლება! ქალის მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ ფეხ-მოტეხილ კატასავით ეცუცქოს კერასთან და ართას, ჰქსოვოს, ჰკეროს, აწოვოს, ჰხარშოს, გვასვას, გვაჭამოს, მიგვაწვინოს, დაგვხუროს, ფეხის-გულებზედ დაგვფხანოს, ნანა გვითხრას, პირჯვარი გადაგვწეროს და დაგვაძინოსო. ფიეეე! გაგონილა გულის ამნეტარებელ „ანგელოზთან“ ასეთი გაუთლელი ბატონობა?!. „ნეტა ყვავი ვარდს რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია?!“ ღმერთო! ან-კი როგორ ითმენენ ამდენს გულ-სატკენ დამცირებას მანდილოსნები ქუდოსნებისაგან?! Собака умнѣе бабы: на хозяйна не лаетъ, ამბობს რუსების ანდაზა და იმას-კი როდი-ღა ჰფიქრობს რომ პატრონისაგან გაბრაზებული ძაღლი არა თუ ჰყეფს პატრონს, ჰკბენს კიდეც. „სიყვარული სიცოცხლეა სულისა და არ მოგეტევებათ დაჩაგვრა იმ ქალისა, რომლის სიყვარულის ნეტარებამაც ცამდე აგაფრინათ ერთხელ მაინც“, გვასწავებს დიდად სახელოვანი მეცნიერი რენანი. „და წაგითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რა გვარ სწერენ?“ გვეკითხება დიდებული რუსთველი და იქვე გვიხსნის: „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჰჟღერენ“. არა, დალოცვილებმა, სხვა რომ სულ იქით იყოს, გამოჩენილის კრიტიკოსის ბელინსკის შემდეგი სამახსოვრო სიტყვები მაინც გაიხსენონ: „Если мужчинѣ позорно быть самцомъ, на томъ основаніи, что онъ—человѣкъ, а не животное, то и женщинѣ позорно быть

შორის იმის შესახებ იყო ლაპარაკი, რომ ქალაქმა შეიძინოს სამოქალაქო სასწავლებლის მახლობლად მდებარე ადგილი, რომელშიაც მოწაფეებს პრაქტიკულად უნდა ასწავლონ ბაღოსნობა და მებოსტნეობა. საბჭომ გადასწყვიტა, რომ ეს ადგილი, სულ 350 ოთხ-კუთხი საჟენი, ხსენებულ სასწავლებლისათვის შეიძინოს. ამას გარდა, საბჭომ იმავე კრებაზედ გადასწყვიტა, მიუგზავნოს სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი მეუნარგია, ბ-ნნი შავროვი, ბახმეტიევი და საბჭოს ხმოსნები ნიკოლაძე და მენდელი. ამ დეპუტაციამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უნდა სთხოვოს, რომ მან გაადიდოს ფოთის სასწავლებლის სამეურნეო განყოფილება. ამ საქმისთვის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა უსასყიდლოდ დაუთმოს სასწავლებელს პალეასტომის ტბაზედ მდებარე ნახევარ-კუნძული. ეს ადგილი ძლიერ კარგია მეურნეობისათვის. მიწა ნოყიერია და ამიტომ ამ ადგილას კარგად იხეირებს ყველაფერი.

⁂ სამტრედია: 28 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზედ, იჯარადარ ცეიტლინის მუშამ ალექსანდრე აბრამკოვმა მოჰკლა მეორე მუშა მაკარ სარქისოვი და ერთი სხვა მუშაც მოსეს სარქისოვი ფეხში დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ გაზეთ „არძაგანკის“ რედაქტორი ა. ა. იოანესიანი ორმა ეპარქიამ აირჩია თავისს დელეგატად—ბრუსისამ და ეგვიპტისამ.

⁂ „Рус. Жизнь“-ი იუწყება, რომ ცნობილს ქიმიკოსს და ღვინის მკეთებელს ბ-ნს არხიპოვს პროექტი შეუდგენია ბესარაბიასა და ამიერ-კავკასიაში ღვინის კეთების სკოლების გამართვის შესახებ. ეს სკოლები მშვენივრად იქნება მოწყობილი საქიმიო მაშინებით და ისეთ სარდაფებით, როგორსაც საზღვარ-გარედ აშენებენ ყურძნის შესანახად.

⁂ გაზეთ „Пет. Вѣд.“ ვკითხულობთ: ამ ჟამად კავკავის მცხოვრებთა ყურადღება მიქცეულია მის უმაღლესობის ხელმწიფე იმპერატრიცას მატარებელზედ, რომლითაც მისი უმაღლესობა ჩამობრძანდა კავკავში. მატარებელს 14 ვაგონი აბია. განსაკუთრებით მშვენიერად არის მორთული სასტუმრო ვაგონი. პურის საჭმელი ვაგონი მუხის ფრად არის შეღებილი ხელოვნურის ჩუქურთმით. საწოლი ვაგონი გაკრულია ცის ფერის აბრეშუმით. საწოლი ტახტი ისეა გამართული, რომ მატარებლის მოძრაობის დროს სრულებით არ ირხევა. სხვა ვაგონებიც მშვენივრად არის თურმე მოწყობილი. ამ ვაგონების დათვალიერება ბილეთებით შეიძლება.

⁂ 29 აპრილს პოლიციელმა აჯლადამ პირველ ნაწილის პოლიციაში მიიტანა მტკვრის პირას ნაპოვნი ქუდი და პალტო. რამდენსამე საათის შემდეგ პოლიციაში მივიდა ისააკ მანთაშოვი და სთქვა, ეგ ქუდი და პალტო ჩემის ძმის არტემ მანთაშოვისაო. წუხელ გაიპარა სადღაც და ეტყობა, თავი დაუღრჩვიაო. წინადაც აპირებდა თავის დაღრჩობა, რადგან ანთება ჰქონდაო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. სამთავისი** (გორის მაზრა). ორი თვეა სოფელს სამთავისში და ნახევარს ვერსზედ დაშორებულს სოფლებში იგუეთსა და ბოჟამში სახადია მოდებული. ადგილობრივ პოლიციის უწყებით, თუმცა მაზრის ექიმმა ინახულა სოფ. სამთავისი, მაგრამ ავადმყოფებს-კი არა ჰშველებიათ-რა. პატრონი არავინ იყო, რომ ავადმყოფების სახლი მაინც ეჩვენებინათ ექიმისათვის. არც, ვისიც ჯერ იყო, იმათ შეიწუხეს თავი. ერთი მოსახლე-კი დაათვალიერეს, ცოტაოდენი წასასმელი წამალი უწყალობეს და გაუტიეს სოფ. კასპისაკენ, სახადი აღარ ყოფილაო. ამავე დროს იმავე სახლის გვერდით-კი ერთს სახლში ორი პატარა ბავშვი იყო ახლად ავად გამხდარი. ბოჟამსა და იგუეთში ოთხი-ხუთი ოჯახობა დღესაც არის ამ სენით ავად. სახადის გამო ადგილობრივს სამრევლო სასწავლებელში ყოველ დღე ხუთიექვსი შეგირდი არ დაიარება. ამ ჟამად სოფელს ბოჟამში ერთი დედისერთა ყმაწვილი ბიჭია ავად. იმის მომვლელი დამწვარი დედაა. ავადმყოფს და იმისს სახლს არავინ ეკარება, დედა შვილს არა შორდება, რის გამოც საქონელი შიმშილით და წყურვილით ეხოცებათ, სახლობა უხნავუთესი რჩება და მათი შემბრალებელი ქვეყანაზედ არავინ არის.

სოფ. ჭალაში ამ ოთხი-ხუთის თვის წინად ერთის იქაურ მცხოვრებლის სახლში შეყრილიყვნენ სტუმრად ადგილობრივივე მოსახლენი გლეხი, აზნაურშვილი და სასულიერო წოდების კაცი. ვახშამზედ შეხლა მოსვლიყოთ სიტყვით და აზნაურშვილს ხანჯალი ჩაეცა გლეხისათვის, ბამბა მაგრად გაეკეთებინა ჭრილობაში, ჩამოერეცხა სუფთად და მეორე დღეს თუ მესამეს დაემარხათ რამდენისამე მღვდლით. ეს ამბავი შეუმჩნეველი იყო აქამდის. აპრილში სასულიერო წოდების კაცს გამოექვეყნებინა, რის გამოც ბოქაულმა ოქმი შეაყენა. გამომძიებელმა და ექიმმა გამოიძიეს და ნახეს და დღეს ყველა ზემოხსენებულნი სახლის პატრონითურთ გორის საპატიმროში იმყოფებიან. სახლის პატრონმა ა. ა—რმა და სასულიერო წოდების კაცმა, ხელობით მედავითნემ, უჩვენეს, რომ მკვლელი ხანჯლით დაგვადგა, თუ გითქვამთ, ყელებს დაგჭრითო, და ფიცი ჩამოგვართვაო. მაგრამ, დაუმატნიათ იმათ, ჩვენმა სინიდისმა ძლიერ შეგვაწუხა და ცხადად, თუ ჩუმად ვაღიარეთო.

ამ რამდენისამე თვის წინადვე სოფელს სამთავისში ერთს ოჯახში ქორწილი იყო. ქორწილში იგუეთელს აზნაურშვილს მოჰპარეს ვერცხლის ქამარი. დამკარგავმა უჩივლა სახლის პატრონს და თავის ახლო ნათესავს, მაგრამ არა გამოვიდა-რა. აღდგომა ღამეს სოფ. იგუეთში ერთს იქაურს მცხოვრებელს სკივრიდგან ამოაცალეს ფული და ნივთეულობა. პატრონი ზემოდ ნათქვამ ვერცხლის ქამრის დამკარგავის ოჯახობას აბრალებს, რადგანაც იმათში ნათესავური შურისძიება ყოფილა. ამ შემთხვევის გამო პატრონი ისეთს სასოწარკვეთილებას მიეცა, რომ ჩაკეტილს კარში ორჯელ თოფი დაიცა, მაგრამ მესამეზედ შეამტვრიეს კარი და სიკვდილს გადაარჩინეს. ამ საქმეზედაც ოქმი და გამოძიება შესდგა.

ამდენს სავაგლახო ამბებს სასიამოვნო ამბებით ვათავებთ. ხილეულობა, ვენახები და ნათესი საუკეთესოა და, თუ წვიმა დაერთო, ზღვად გასკდება. სკოლის შეგირდებმა, ხუთის თვის შემდეგ სკოლის გამართვისა, ეკლესიაში გალობა დაიწყეს.

ი. ხახუტაშვილი

**ქ. პიატიგორსკი,** 20 აპრილი. ასე არეულ და გიჟმაჟ ამინდიანი წელიწადი არა გვგონია, რომ ახსოვდესვისმე, როგორც წელს არის. ჯერ იყო და ზამთრის საშინელ სიცივე-ყინვით სული ამოგვხადეთ და აი ახლა ამ დინჯის და დარბაისელწყნარის აპრილის თვის იმედი გვქონდა, ეს გაზაფხულის თვე მაინც გვასიამოვნებსო, ვფიქრობდით, მაგრამ ამაოდ, ვერც არაფრად ამ აპრილმა გვასიამოვნა. საშინლად მოიგიჟიანა თავი, დამდეგიდგანვე დაიწყო დაჟინებული ავდრები, მთელი ათი დღე სწვიმდა, ახლა კიდევ ავდრები გადიღო და ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი ჩრდილოეთის მხრიდგან და აი ეს ათი დღეა განუწყვეტლივ დღე და ღამ მგლოვიარისამებრ სამწუხარო ხმით გაჰკივის და ჰგლეჯავს აქაურობას. ისე ღონივრად ჰქრის, რომ კაცს ქუჩაშისიარული უძნელდება, მთვრალს კაცსავით ხან ერთს მხარეს გააბარბაცებს და ხან მეორე მხარეს და საშინელს მტვერს აყრის თვალებში. აი სწორედ ამისთანა დროს უნდა ქუჩების მორწყვა, რომ მტვერი და ბუქი მაინც აღარ იდგეს, მაგრამ არ ვიცით, რატომ არა რწყავენ ქუჩებს. თუ-კი ამისთანა დროს არ გამოიყენებდნენ, მაშ რაღად უნდოდათ „წყლის მილი“, რომელიც 25,000 მანათამდის დაუჯდათ პეტიგორსკელებს.

როგორც ეტყობა, აქაურს სამადნეულო წყლებს კარგი მომავალი ელის. იმედია, თანდათან უკეთესი „კურსი“ იქმნას, რადგანაც უკვე რკინის გზის შტოები გამოჰყავთ „სამადნეულო წყლების“ სადგურიდგან, პიატიგორსკსა, კისლოვოდსკსა, ესენტუკსა და ჟელეზნოვოდსკამდისაც. ამდენის ხნის მოლოდინი და სურვილი ძლივს შეუსრულდათ და უკვე დაიწყეს წელს კეთება. ცხადია, ზაფხულობით მოსვლელ ხალხის რიცხვი ბევრად იმატებს, რადგანაც რკინის გზის შემწეობით მისვლა-მოსვლა გაუადვილდებათ და ფასიც ხომ ბევრად ნაკლები ეღირება. აქამდის „სამადნეულო წყლის“ სადგურიდგან ქ. პიატიგორსკამდის (20 ვერსია) ეტლის პატრონები 10—12 მანეთს იღებდნენ კურსის დროს და ეხლა-კი რკინის გზით ამ ფულით ოცჯერ წავა და წამოვა ხალხი. საზოგადოდ ყოველ მხრივ ქ. პიატიგორსკი, როგორც ეტყობა, უკეთესობაში შედის. ნამეტნავად რაც ახალი ქალაქის თავი ამოირჩიეს, ბ-ნი არხიპოვი, უწინდელი უწმინდური და უსუფთაო, უსწორ-მასწორო ქუჩები დღეს სულ სხვა სანახავია: სწმენდავენ, აკეთებენ და ქვაფენილს აგებენ. ყოველ სახლთან თლილს ქვას აგებენ, ბევრს ადგილას ხეებს რგავენ და ეკკლესიის წინაც ბაღის კეთება დაიწყეს.

შაქრო ი. ვ—ძე

## მთავარ-ეპისკოპოსნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811)

## კათალიკოსნი

**მიქელ 690—702.** არჩილ მეფის კურთხევის შემდეგ აღძრულმა უთანხმოებამ საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა შორის ესე მიქელი აიძულა შეედგინა „წესი და განგება მეფის კურთხევისა ჴმღვდელთ-მთავართა სხდომის რიგი მეფის კურთხევის დროს“. ამა მიქელის მეცადინეობით და კურთხევით დაიწერა: ა) შთამომავლობა ქართველთა ერისა; ბ) ქართლის მოქცევა ნინას მიერ; გ) წესი მირონის კურთხევისა; დ) იერარქიული სია საქართველოს ეკკლესიის მღვდელთ-მთავართა, მონასტერთა და წინამძღვართა და მოთხრობა: კათალიკოზობის დაწესება მცხეთაში. იხ. ისტ. საქარ. ბაქრ., 200 გვ. თეიმურაზ ბატონიშ. ცნობა. მეფენი სახელით „არჩილ“ მოხსენებულ არიან სულ სამნი: არჩილ I (410—434), არჩილ II (668—718) და არჩილ III (1678—1712). კათოლიკოზი სახელით მიქელ მართალია პირველის და მეორის არჩილის დროს არ არის მოხსენებული, მესამის დროს ხომ შეუძლებელია ვიფიქროთ, მაგრამ ისტორიულ პირობათა ძალით რომ არჩილ I (410—434) დროს სამღვდელთ-მთავრო საყდრები ჯერ დაწესებულ არ იყვნენ (დაწესდნენ ვახტანგ I 446—499); რომ კათოლიკოზობა ჯერ დამყარებული არ იყო და, მაშასადამე, არც წესნი საეკკლესიონი იყვნენ დადგენილ და არც „დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ებისკოპოსთა ცილობისაგან“, ამისათვის მხოლოდ არჩილ II მეფობის დროს უნდა მიეკუთვნოს ქართლისა კათალიკოზობა მიქელისა და მის მიერ შედგენა „მირონის კურთხევის წესისა“ და სხვ. აჰა, თვით ტექსტი მირონის კურთხე-

---

...самкою на томъ-же основаніи“. მშვენიერებაა! ამაზედ უკეთ თვით მთელის ქვეყნის მანდილოსნებიც ვერ იტყოდნენ თავისს გასამართლებლად. მარტო ენა-მზიანის ბელინსკის ეს პაწია სიტყვა-მარგალიტიც საკმარისია გონიერისათვის, რომ ქალსაც კაცის თანასწორი უფლება მიანიჭოს... დიაღ, გონიერსა ერთი უთხარ, უგუნურსა ათასიო. საწყალი ქალები! ბევრი ჰო-ჰო-ჰო ხარს გააგიჟებსო და აკი ქალებსაც ეს ემართებათ: იმდენს ჰყვირიან, ქალები უჭკუო სულელები არიანო, რომ ჭკვიანს ქალებსაც-კი გული უტყდებათ, რწმენა ეკარგებათ და სულელდებიან... ასმა სულმა ცხვარმა ხეს შეჰბღავლა და ხე გახმაო, და საკვირველია, ან-კი ამდენა ცხვრების ბღავილში როგორღა შერჩათ გონება მანდილოსნებს. ერთი მოისმინეთ, ღვთის გულისათვის, რას ამბობს ერთი რუსის მწერალი: „Женщины глупы вертикально, горизонтально и перпендикулярно“. ეჰ, მახლას! კაცები ბევრს რასმე არაკუნებენ ქალებზედ, მაგრამ ქალებისაგან გასულელებული კაცები მილიონობით გვინახავს და კაცებისაგან გასულელებული ქალები-კი—ძალიან იშვიათად. მაშ ისევ სათქმელს მივუბრუნდეთ.

დღეს, როდესაც ევროპის განათლებული ქალები, აღსავსენი დაჩაგრულთა თანაგრძნობით და გამსჭვალულნი საგმირო ფიქრებით, გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ქვეყნის ცხოვრების მოძრაობას, გაუმაძღრად ეწაფებიან სოციალურსა და ეკონომიურს მეცნიერებას და ყველა ერის სათვალჩინო ლიტერატურას, ფაცი-ფუცით მიისწრაფიან უმაღლეს სასწავლებლისაკენ, არდგენენ მრავალ გვარ საქველ-მოქმედო საზოგადოებას, იღებენ მხურვალე მონაწილეობას ცხოვრების ყოველ გვარ საქმეში სიტყვით თუ მოქმედებით, მზის ცხოველ-მყოფელის სხივებით ეფინებიან დაბა-სოფლებს სხვა-და-სხვა ასპარეზზედ სამოქმედოდ ქვეყნის წინ-წასაწევად და უცოდინარობით დაჩაგრულ მოძმეებისათვის თავ-შესაწირად, მაშინ ჩვენი ქარაფშუტა ქალწულები და არა-ქალწულები სარკეში კეკლუცობენ, მომხიბლავ ასოტანს ივარჯიშებენ კაცის გულის დასაწვავ-დასადაგავად (ახი კია ჩვენისთანა კაცებისათვის, ღვთის წინაშე), მოდნის მაღაზიებში ირევიან ჭიანჭველასავით დღე და ღამე და აინუნშიაც არ იგდებენ ქვეყანას და ქვეყნის საქმეს სწორედ ისე, როგორც იმათი მამები, ქმრები, ძმები, ნათესავები, მეგობრები და მეზობლები. დიაღ, რაც ალხანა იყოს, ის ჩალხანაო, ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო, როგორიც მღვდელი, ისეთი ერიო, საქონელი პატრონს ეგვანებაო და სხვ. მაშასადამე, რაც ჩვენა ვართ, ის ჩვენი მანდილოსნები არიან და რაც ჩვენ ვიქნებით, ისინიც ჩვენივე მგზავსნი იქნებიან: ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. მაშ ჯერ ჩვენ შევიჩმუჩნეთ, გამოვიღვიძოთ, შევაფურთხოთ ეშმაკს, ნულა ვიქნებით, რაც ვიყავით, ძმურად განვუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი ჭირი და ვარამი, ავდუღდეთ ძლიერისა და დაუცხრომელის მოქმედების საგმირო ენერგიით, მხარ-მიცემულებმა ავიღოთ დროშა საერო წარმატების შესადგომლად, წავაწეროთ ზედ ოქროს ასოებით პოეტის შემდეგი სიტყვები: „Ждемъ любви, свободы, славы, счастья, правды и добра!“ და გამოიცვლებიან ჩვენთან ჩვენი მანდილოსნებიც. ბოლოს ის უდიდებულესი მადლი დაიბადება ასეთის საერო გამოფხიზლებით, რომ კეთილ-ქონების ფიტს მოიკრავს დღევანდელ ჩვენის ქვეყნის ნიათ-გამოლეული ეკონომიური მდგომარეობა და დავწინაურდებით ქონების წყალობით გონება-ზნეობითაც: გაგვიმრავლდება სკოლები, თეატრები, საზოგადო დეპოები, ბანკები, ქარხნები, ჟურნალ-გაზეთები, მკითხველები, მოძმე-სამშობლოს მოყვარენი, ქველის მოქმედნი, და მზის სხივებივით მოეფინება საქართველოს ნათელი სიმართლისა, სწავლისა, ერთობისა, მშვიდობისა და სიყვარულისა. აი მაშინ, მხოლოდ მაშინ გაჰქრება კიდეც ეხლანდელი ჩვენი კერძო და საერო დაღვრემილება, ყურების ჩამოყრა, შიში, სასოწარკვეთილება და ათასი სხვა ჭირი და ნაკლულევანება, რომელთა მიზეზების დასაწყისი სათავე ჩვენივე ნივთიერი სილატაკეა. დიაღ, გაცოცხლდება მაშინ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა კეთილ-ქონებიანის სიცოცხლის ჟივილ-ხივილით და ძველი ჯოჯოხეთი ახალ სამოთხედ გადაგვექცევა.

დ. მაჩხანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისა და ეპისკოპოზისა: კურთხევა მირონისა *).

„დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ებისკოპოსთა ცილობისაგან და ღვთივ-გვირგვინოსამან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად და გვიბრძანა განჩენად, ვითა ნიშანთა შეეტყვებოდა, და კელ-ვყავით მე გლახაკმან მიქელ ქართლისა ქათალიკოზმან, და ვაკურთხეთ წმიდა მიჰრონი. ოდეს მეფე, ათაბაგი ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოძღვარნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, — დიდისა სომხეთისა **) მიტროპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად; და ქვაბნი საკურთხეველთათ გამოიხუნენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტვირთნენ კეტნი ქვაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი; თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსლითა შემოსილ იყოს; თუ მწირველი არა იყოს, თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებუროს მოყუნტუზვილი. და მეორეთა ქვაბთა მთავარ-ებისკოპოზი ქვეშე უდგეს და წინა მივიდოდეს და უკანათა კეტთა მაწყვერელი და უკანა მთავარ-ებისკოპოზი (სა) მოჰყვებოდეს. და რაჟამს განზაონ ტაკუკი, ქადაგისა კელითა დაიბეჭდვოდეს; და ყოველთა ებისკოპოსთა თვითო კოკაჲ მირონისა ეტვირთოს და კეროვნები, სვეტსა ცხოველსა გარე მოადგენ და კათოლიკე ეკლესიისა ტროპარი სვეტის-ცხოველისა გალოპდენ...» (შემდეგ აღნიშნულია მწყობრი საქართველოს მღვდელთ-მთავართა იმიერ და ამიერ კათალიკოზისა, ანუ მეფისა სხდომად იერარქიულის რიგით). შემდეგ: „მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღვარნი და წინამძღვარნი და მათითა წესითა წინა მიუსხდენ ებისკოპოსთა".

„მეფესა ჯვარის მტვირთველსა, ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომა (მეფის კურთხევის დროს). ვინცა ესე ღვთისა სწორთა მეფეთ-მეფისა არჩილის ბრძანებული და განაჩენი, და ჩვენ გლახაკისა ქართლისა ქათალიკოზისა მიქაილისაგან დამტკიცებული — შეურაცხყოს და ამა განაჩენსა ურჩ-ექმნას, კათოლიკე ეკლესიისაგან განიხადოს და ურჩებისა პატიჟი მიეხადოს, ვითარცა ურჩსა და სჯულისა გარდამავალსა და, რომელიცა პატივი აქვნდეს, იგიცა მოეძარცოს".

**იოანე** 720—748. ამის დროს მიაწერენ არგვეთის მთავართა — დავით და კონსტანტინეს წამებასა 741 წ. იხ. საქარ. სამ., 330 გვ. და ვახ. ისტ., 116 გვ. შენიშ. ბაქრაძისა. თეოფილაქტე ანტიოქიის პატრიარქისაგან (744—751) ხელდასხმულს, დროთა შლილობისა გამო, ამა იოანესვე მიაწერენ გოთელთა (ყირიმის ეპისკოპოსის იოანეს 751—775) კურთხევასა მცხეთაში, რადგან საბერძნეთში მიმავალი გზები შეკრული იყო ხატთ მბრძოლთაგან. იხ. ისტ. საქართ. ბაქრაძ., 201—202 შენიშვნა.

*) მშვენიერი ხელ-ნაწერი „კურთხევა მირონისა და მეფისა" ეკუთვნის „წერა-კითხ. საზოგადოების" წიგნთ-საცავს, № 119.

**) განსვენებულის პ. იოსელიანის სიტყვით, სამცხისა, მცხეთის ტაძრის გუჯარისამებრ № 286 (სინოდალურ კანტორაში); იხ. მისი თარგმანი რუსულად Древн. гор. Тиф., 59—63 გვ., პ. იოსელიან.

**გრიგოლ** 749—759.

**სარმიანე** 760—774. ამის მედროე ფილიპე ეპისკოპოსი. საქ. სამ., 262 გვ.

**თალელე** 775—779.

პ. ცხვილოელი

## რუსეთი

კარგა ხანია მთავრობა სხვა-და-სხვა ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ პრუსიის მოსაზღვრე ადგილების მცხოვრებ ვისლის მხარეს ხალხს საშოვარი გაუჩინოს ადგილობრივვე, რათა იძულებულნი აღარ შეიქმნენ უცხო ქვეყნებში გადასახლებას. თუმცა გზატკეცილების გაყვანა და სხვა საზოგადო სამუშაოები დაიწყეს, მაგრამ ხალხმა მაინც არ მოიშალა ბინადრობიდგან აყრა და სხვა ქვეყნებში სიარული და გადასახლება. რაც დრო გადის, გადასახლებულთა რიცხვი უფრო და უფრო ჰმატულობს. გაზეთ „Wiek"-ის სიტყვით, უფრო ის ხალხი იყრება, რომელსაც ჯანი შესწევს და მუშაობა შეუძლიან; ვისაც ათის თუმნის მოხერხება აქვს, პირდაპირ ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში მიდის, რადგანაც ბრაზილია ყველას უკვე მოსწყინდა. ვინც ნაკლებ შეძლებულნი არიან, ისინი პრუსიაში, სახელდობრ საქსონიასა და პომერნიაში, გადადიან ზაფხულობით საშოვრის გულისათვის და ჰშოულობენ 30—40 მანათს. თვით პრუსიელი აგენტები მოდიან და იმათ მიჰყავთ ხალხი სამუშაოდ. კორესპონდენტის სიტყვით, ვისლის მხარეს ერთი ისეთი პატარა სოფელიც-კი არ მოიპოვება, რომ რამდენიმე კაცი არ იყოს იქიდგან წასული საზღვარ-გარედ. ამერიკა სწორედ სამოთხედ მიაჩნიათ და ამიტომ ძლიერ მიისწრაფვიან იქითკენ. მრავალი წერილი მოდის ამერიკაში წასულებისაგან. ისინი ემდურებიან და სწყევლიან თავისს წასვლის დღეს, მაგრამ ხალხი მაინც არა შინდება და არ იშლის გადასახლებას. აი ამის დასამტკიცებელი მაგალითი. ახალწლის შემდეგ ერთმა გლეხმა, გვარად როგოზინსკიმ, სრულიად მიჰყიდ-მოჰყიდა მთელი თავისი ქონება, აიღო ათი თუმანი ფული და წავიდა ამერიკაში. როცა ნიუ-იორკში მივიდა, ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე კაპეიკი-ღა ჰქონდა. ამიტომ იქაურმა მთავრობამ იმავე გემით, რომლითაც მივიდა, უკანვე გამოისტუმრა, როგორც შეუძლებელი კაცი. 7 კვირის ზღვით მოგზაურობის შემდეგ ბ-ნი როგოზინსკი ისევ თავისს სოფელში გაჩნდა, ქონება დაკარგული და ათას გაჭირვებასა და სიმწარეს გამოვლილი. მოსალოდნელი იყო, რომ როგოზინსკის მიხედვით სხვანი დაიშლიდნენ ამერიკაში წასვლას, მაგრამ სრულიადაც ეს შედეგი არ მოჰყოლია იმის მაგალითს. თითოეულ სოფლიდგან რამდენიმე ათი კაცი წავიდა მას შემდეგაც ამერიკაში. საბრალოებს იმედი აქვთ, გადავსახლდებით თუ არა ამერიკაში, ორ-სამს წელიწადზედ ფულისა და ქონების პატრონები შევიქნებითო. არა თუ მარტო მამაკაცები, არამედ გათხოვილი და გაუთხოვარი ქალებიც-კი მიდიან ამერიკაში თავის გადასახლებულს ქმრებთანა, ძმებთანა და სხვა ნათესავებთან.

## უცხოეთი

**ბელგია**. ამ დღეებში ბელგიის პარლამენტმა კამათი დაიწყო იმის შესახებ, რომ კონსტიტუცია გადათვალიერებულ იქმნასო. ეს საგანი დიდი ხანია სადაო და საცილობელ საქმედ არის გადაქცეული ბელგიის საპოლიტიკო დასთა შორის. თუ როგორ და რა წესით უნდა მოხდეს კონსტიტუციის გადათვალიერება, ეს 1831 წლის კანონშია აღნიშნული. კანონ-მდებელს მთავრობას ნება აქვს აღნიშნოს, კონსტიტუციის რა და რა მუხლის გადავალიერებაა საჭირო. რაკი ამას განაცხადებს მთავრობა, მაშინ ორივე პალატა უნდა დაითხოვონ და ახლები მოიწვიონ. ესენი თავიანთ მხრივ მეფესთან მორიგებით ყოველსავე მუხლს ცალკე განიხილავენ და ასეთს თუ ისეთს გადაწყვეტილებას დაადგებიან.

ბელგიაში უკვე აღიარეს საჭიროება კონსტიტუციის გადათვალიერებისა. ბელგის კონსტიტუციის მე-47 მუხლის ძალით, წარმომადგენელთა პალატა უნდა შესდგეს თვით მოქალაქეთა მიერ ამორჩეულ დეპუტატთაგან. ხოლო ამომრჩევლობის უფლება მარტო იმათ ეძლევათ, ვისაც კანონიერი ცენზი აქვს, ე. ი. ვინც 20—100 ფლორინს პირდაპირს გარდასახადს იხდის წელიწადში. ამ კანონის მიხედვით, პალატამ დაადგინა ცენზად 42 ფლორ. 32 სანტ. პირდაპირი სახელმწიფო გარდასახადი და სხვა არაფერი ცვლილება არ მოუხდენია ამომრჩევლობის უფლების გასავრცელებლად. აი ამისთვის შეიქმნა საჭიროდ კონსტიტუციის გადათვალიერება და ამისსავე თაობაზედ წარდგენილ იქმნა წინადადება პალატაში 1870, 1883 და 1888 წწ., მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და 6 მილიონ ხალხისაგან ამომრჩევლობის უფლება მხოლოდ 134,000 მოქალაქესა ჰქონდა მინიჭებული.

ევროპის სხვა საკონსტიტუციო სახელმწიფოებში ამომრჩევლობის უფლება თანდათან უფრო მეტს ხალხს ენიჭებოდა და ბელგია-კი ძლიერ უკან იყო ამ საქმეში ჩამორჩენილი. მაგალითად, ამ სამოცის წლის განმავლობაში ინგლისში ორჯელ იქმნა გადათვალიერებული კონსტიტუცია, ხოლო ბელგიაში არც ერთხელ.

1867 წელს ინგლისში ამომრჩევლობის უფლება 1.366,818 კაცსა ჰქონდა, ხოლო მაშინდელმა კონსტიტუციის გადათვალიერებამ 2.448 252 კაცს მიანიჭა ეს უფლება. მას შემდეგ უფრო გაავრცელეს ეს უფლება და 1886 წელს უკვე 5.701,905 ამომრჩეველი იყო ინგლისში. თუ მცხოვრებთა საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ ინგლისში, სადაც ჯერ კიდევ ყველას არა აქვს ეს უფლება, ერთი ექვსად უფრო გავრცელებულია ამომრჩევლობა ვიდრე ბელგიაში.

ბელგიას, რომელსაც აგრეთვე პარლამენტი აქვს და ჰმართავს ამ საქმეს, კითხვა არ უნდა, არ შეეძლო კმაყოფილი ყოფილიყო თავისის მდგომარეობისა, როდესაც მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და მთლად მუშა ხალხი მოკლებული იყო ამომრჩევლობის უფლებას. მუშა ხალხის დაქვეითებული მდგომარეობა ნიადაგ ჰმოწმობდა, რომ მთავრობა ნაკლებს ყურადღებას აქცევდა იმ ხალხს, ვისაც ამომრჩევლობის უფლება არა ჰქონდა მინიჭებული. ამის გამო კონსტიტუციის გადათვალიერება ბელგიელთათვის უპირველეს საჭირო საგნად გადაიქცა და 1890 წელს იანსონმა რომ წინადადება წარადგინა, მთავრობამ მაშინვე შეიწყნარა. რადიკალთა დასი თხოულობდა, ყველას უნდა ჰქონდეს ამომრჩევლობის უფლებაო, მაგრამ მთავრობამ საშინელი წინააღმდეგობა გაუწია ამ თხოვნას.

1891 წ. 18 მარტს მინისტრმა ბერნაერტმა განაცხადა მთავრობის მხრივ, რომ შეგვიძლიან იმის მინაგვარი წესი შემოვიღოთ, როგორიც ინგლისელებსა აქვთ, მაგრამ საყოველთაო ამომრჩევლობას-კი არ დავეთანხმებითო. ინგლისში ამომრჩევლობის უფლება იმას ეძლევა, ვინც მფლობელია სახლისა ან იმის ნაწილისა, სადგომისა ანუ მიწისა, რომლის შემოსავალი და ან წლიური ქირა 10 გირვანქა სტერლინგიაო. ესევე წესი ბელგიაშიაც რომ შემოიღონ, მაშინ ამომრჩელობის უფლება 600,000 კაცს ექნება.

იმავე დროს მინისტრმა ბერნაერტმა განაცხადა აგრეთვე, რომ საჭიროა მეფეს უფლება მიეცეს პირდაპირ ამომრჩევლებთან იქონიოს საქმე, ე. ი. დაწესდეს სამეფო რეფერენდუმიო. ეს წინადადებავე განცხადებულ იქმნა წარმომადგენელთა პალატაში ამ წლის დამდეგსაც. მთავრობის პროექტის აზრით, რამდენადაც გავრცელდება ამომრჩევლობის უფლება, იმდენადვე უნდა გავრცელდეს უპირატესობანი მეფისა. ბერნაერტის მიერ გამოთქმული აზრი არ მოეწონა კლერიკალთა დასს, რომელიც სრულიად წინააღმდეგია კონსტიტუციის გადათვალიერებისა. ამასთანავე არც რადიკალთა დასი დარჩა კმაყოფილი ბერნაერტისა. ამ სახით სადავო საგნად ის შეიქმნა, რომ რადიკალებს საყოველთაო ამომრჩევლობის შემოღება ჰსურთ და მთავრობას-კი არაო. სამეფო რეფერენდუმის შესახებაც ცოტაოდნად უთანხმონი არიანო. მთავრობას ჰსურს მხოლოდ მეფეს მიანიჭოს უფლება, რომ ამომრჩევლებს წარუდგინოს ხოლმე განსახილველად ეს ანუ ის კანონი, რომელსაც პარლამენტი შეიწყნარებს. ხოლო რადიკალთა დასი თხოულობს, რომ ეს უფლება პარლამენტსა ჰქონდესო. ჯერ არავინ იცის, რითი გათავდება საქმე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მთავრობა გაიმარჯვებს.

## წვრილი ამბავი

პარიჟში მწერალთა საზოგადოების სადგომში თავი მოუკლავს რომანების მწერალს ლა-სოლვის. მოკლულს ჯიბეში წერილი უპოვნეს, სადაც იგი აცხადებს: თავი იმიტომ მოვიკალი, რომ ვიგრძენ, როგორც ვსუსტდებოდი გონებრივადაო. სწორედ ამავე მიზეზის გამო წინა დღეს თავი მოუკლავს სეკრში საფრანგეთის გამომკვლეველს აფრიკისას დიუვერიეს.

— 13, 14 და 15 მაისისას პარიჟში უნდა მოხდეს დედათა კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ევროპისა და ამერიკის წარმომადგენელნი ქალნი.

— გაზ. „Revue de l'Enseignement Supérieur"-ის სიტყვით, წარსულს წელს საფრანგეთში 252 სტუდენტი ქალი ყოფილა. ამათ შორის ექიმობასა სწავლობდა თურმე 18 ფრანგი-ქალი, 6 ინგლისელი, 3 რუმინი, 1 ოსმალი, 1 ბერძენი, 1 ამერიკელი და 103 რუსი; ბუნების-მეტყველებას — 5 ფრანგი და 14 სხვა-ქვეყნელი; ფილოსოფიას — 82 ფრანგი და 15 სხვა-ქვეყნელი. სამს რუსის ქალს მიუღია ექიმის მოწმობა და ერთი-კი თავისის დისერტაციისათვის საპატიო ფურცლითაც დაუჯილდოვებიათ.

— საფრანგეთის სამხედრო მინისტრს სამხედრო აზრით შეუდგენია მთელი ჯარი მველოსიპედებისა. ამ ჯარში სულ 3,100 კაცამდე ითვლება და შემდეგ ჯარის სხვა-და-სხვა რაზმში უნდა იქმნენ გამწესებულნი.

— სწორედ საშინლადა სჯიან ვერმონტის შტატში ყველა იმათ, რომელნიც სპირტის სასმელეულობასა ჰყიდიან. ამას წინად ქალაქ რუგლენდში დაპატიმრეს თურმე ვიღაც ო'ნეალი, რომელსაც ჩუმად ეზიდნა ასეთი სასმელი და ახლა ნისიების მოსაკრეფად მისულიყო. ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს, რომ 657-ჯერ გაუყიდანია ჩუმად სპირტის სასმელეულობაო. სასამართლომ ყოველ დანაშაულის ჩადენისათვის თითო თვე ციხე გადაუწყვიტა. საერთოდ-კი ამ კაცს გადაწყვეტილი აქვს 657 თვე, ესე იგი 54 წელიწადი ციხეში ყოფნა და ამას გარდა 140,000 მან. ჯარიმა უნდა გადაიხადოს. უმაღლესს სასამართლოს ვერმონტისას დაუმტკიცებია ეს განაჩენი, მაგრამ ბრალდებული მაინც არ დათანხმებულა და აპელაცია გადაუტანია.

— ვენაში ამას წინად ერთს სახლს ცეცხლი წაჰკიდებია და სულ ერთიანად გადამწვარა თაგვის მიზეზით. როგორც შემდეგ შეუტყვიათ, თაგვს წუმწუმის კოლოფის ხვრა დაუწყია და ამის გამო წუმწუმა წამონთებულა.

— ნიუ-იორკის ერთს ექიმს, ბ-ნს გროვენს, უცნაური საშუალება გამოუძებნია სიცოცხლის გახანგრძლივებისა. ეს ექიმი ეხლა 90 წლისაა და წიგნაკი გამოუცია, რომელშიაც საზოგადოებას არწმუნებს, რომ კიდევ 1950 წლამდე ვიცოცხლებო, ესე იგი 58 წელიწადს, ასე რომ მაშინ მოვკვდები, როდესაც 148 წლისა შევსრულდებიო. მისის სიტყვით, როგორცხეს ტოტების მოჭრა ნორჩადა ჰხდის, ისე ადამიანს ასოების ცოტ-ცოტა მოჭრა ახალგაზდავებსო. მეც ჩემს თავს ცოტ-ცოტა ხორცს ვაჭრი და იმიტომ ასე დიდხანს ვცოცხლობო. დავიცადოთ აბა, როდესაც თავამდის ყოველსავე მოიჭრის, ვნახოთ მაშინ რაღას იზამს ეს უცნაური ექიმბაში სიცოცხლის გახანგრძლივებისა.

### წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ დაბა ზუგდიდის პირველ გილდის ვაჭარს სპირიდონ მარგოზის ძეს აბესაძეს, რომელმაც ჩემდა რწმუნებულს ს. კაცხის წმინდა გიორგის ეკლესიას შემოსწირა საუცხოო მხატვრობა კანკელისათვის და სხვა-და-სხვა ეკლესიის ნივთი, ღირებული 1030 მანეთად.

სოფ. კაცხის წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელი

ელეფთერ ბარათაშვილი.

### გამოსადეგი ცნობა

**ადვილი საშუალება საცვლის სარეცხად.**

საფრანგეთში და განსაკუთრებით პარიჟში შემოიღეს ახალი საშუალება სარეცხის გარეცხვისა. ამ საშუალების წყალობით საჭირო აღარ არის ხელით რეცხვა, რაიცა ძლიერ აფუჭებს საცვალსა. აი ეს ახალი და სახეირო საშუალება: სარეცხი უნდა ჩაიყარონ ერთს ქვაბში და წყალი დაუსხან. რამდენი ვედრო (სამი თუნგი) წყალიც დაუსხმის, იმდენი ორი კოვზი ნავთი და ორი გირვანქის საპონიც უნდა ჩაატანონ შიგ. ქვაბი ორი საათი უნდა ადუღონ; შემდეგ სარეცხი უნდა გადიღონ მეორე ქვაბში და უსაპნოდა და უნავთოდ წმინდა წყალში უნდა ადუღონ ერთი საათი. ამას შემდეგ მხოლოდ ამოვლება-ღა საჭირდება სარეცხს და ძლიერ სუფთად გარეცხილი გამოდის: აღარც ლაქა და აღარც სიყვითლე აჩნევია, რომ გალილავება დასჭირდეს. ასეთის რეცხვით საცვალი უფრო ნაკლებადა ფუჭდება, ვიდრე ხელით ჭეჭყვის გამო.

---

## დეპეშა

28 აპრილი

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსი გრესსერი წინანდებულად მძიმედ ავად არის.

„Новости“ იუწყება, გუშინ ფორმალურად წარადგინეს რუსმა ფულის პატრონებმა განცხადება და ჰსურთ დააწესონ საზოგადოება ციმბირის რკინის გზის გასაყვანადა და საწარმოებლად ჩელიაბინსკიდგან სრეტენსკამდე. გზის გასაყვან ადგილებად აღნიშნულია ჩელიაბინსკი, ომსკი, ტომსკი, ბაიკალის ტბის გარშემო და ბაიკალიდგან სრეტენკამდე.

**კონსტანტინოპოლი.** ვულკოვიჩის მოკვლის თაობაზედ სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა. მერჯიანიტ-ხრისტოს სიკვდილით დასჯა მიესაჯა, ხოლო ძმებს ტიუფეკჩიებს 15 წლის ვადით კატორგა.

**ბრიუსელი.** რამდენსამე საპოლიტიკო მოღვაწესა და სასამართლოს უწყების წევრთ მუქარის წერილები მიუვიდათ. ერთი ანარხისტთაგანი გამოტყდა, მე განვიზრახე ლიუტტიხში ბჰოსან რემსონის სახლის აფეთქებაო. ეხლა უკვე გამოარკვიეს, რომელი ანარხისტი რამდენად და რაშია დამნაშავე.

29 აპრილი

**ლებედიანი.** დაიწყო მუშაობა რკინის გზის გასაყვანად ლებედიანიდამ ელცამდე.

**რომი.** მეფემ შეიწყნარა დი-რუდინის კაბინეტის ქაღალდი სამსახურიდამ გადადგომისა და ჯიოლიტის მიანდო ახალის სამინისტროს შედგენა.

**ბერლინი.** როცა რეიხსტაგი შეიწყნარებს ხარჯის გაწერის განკარგების პროექტს, პრუსიის მთავრობას აზრად აქვს შემოიღოს გარდასახადი სასმელებისა შეძლების კვალობაზე გაწერილ დამატებულ ხარჯის სახით. კონსერვატორთა დასს, ახალ პროგრამის ძალით, სახეში აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს საბირჟო უწესოებას, მამულების პატრონთ განზრახ გაღარიბებასა და მევახშეობას, რის ბრალსაც უმთავრესად ებრაელებსა სდებენ; ამ გვარის წინააღმდეგობისა და ბრძოლის გაწევა უნდათ არა საკანონმდებლო გზით, არამედ საადმინისტრაციოთი; ეცდებიან, რომ განდევნილ იქმნან უვარგისნი კაცნი საზოგადო ცხოვრების ზოგიერთ მოედნიდამ, როგორც მიღებულია, მაგალითად, ამ ჟამად აფიცერთა წოდებაში.

ხმა დადის, რომ ემინ-ფაშამ თვალის სინათლე სრულიად დაჰკარგაო.

**სტამბოლი.** სულთანი ავად იმყოფება იმის გამო, რომ ნერვები აშლილი აქვს.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ქალაქის უფროსის გრესერის ავადმყოფობა გაჩკოვსკის ვიტალინის კანს ქვეშ შესხურების გამოა გამოწვეული; გაჩკოვსკის ვიტალინი და სხვა მისი მასალა წაართვეს; ამბობენ, ამ წამლის აღკრძალვა გამოიწვია გენერალ-მაიორის ბარანოვის გარდაცვალებამ, რადგან ბარანოვსაც გაჩკოვსკი სწამლობდაო.

**პარიჟი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ლუბემ აუწყა მინისტრთა საბჭოს პროექტი 300,000 ფრანკის კრედიტისა, რათა ამ ფულით დაჯილდოებულ იქმნენ ქონებრივად დაზიანებულნი პარიჟში დინამიტის აფეთქებათაგან.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,55}$ | $7_{,58}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150¼ | 151¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | $1_{,12}$ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | 197 | 197¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | $101_{,87}$ |
| 5%. . . . . . | 99½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 101½ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

---

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---


## განცხადებანი

**ARGUS DE LA PRESSE**

*FONDE EN 1879*

Pour être sûr de ne pas laisser échapper un journal qui l'aurait nommé, il était abonné à l'Argus de la Presse, qui „lit, découpe et traduit tous les journaux du monde, et en fournit les extraits sur n'importe quel sujet“.

Hector Malot (zyte, p. 70 et 323).

L'Argus de la Presse fournit aux artistes, littérateurs, savants, hommes politiques, tout ce que parait sur leur compte dans les journaux et revues du monde entier.

L'Argus de la Presse est le collaborateur indiqué de tous ceux qui préparent un ouvrage, étudient une question, s'occupent de statistique, etc, etc.

S'adresser aux bureaux de l'Argus, 155, vue Montmartre, Paris—Téléphone.

L'Argus lit 5,000 journaux par jour.

---

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—42)

---

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი აღაბაბოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—9)

---




ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

**ЗАВОДЪ**

**МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ**

**А. А. ТУТАЕВА.**

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

---

**ალ. ალ. თუთაევის**

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—7)

---

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც **„ივერიის“** რედაქცია იმყოფება, გაიმართა

სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე

**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Апрѣля 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**